სკოლის დასახელება	ლეღვას N1 საჯარო სკოლა
მასწავლებელი	ნატა კობერიძე
ნაწყვეტი წიგნიდან	„მოთხრობები ქალებზე“ - რევაზ ინანიშვილი - „თინიკო“
სწავლების საფეხური/კლასი	დაწყებითი/მე-5 კლასი
მისაღწევი შედეგები	მოსწავლე შეძლებს საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას ტექსტის მიმართ. შექმნის სხვადასხვა სახის მიზნობრივ ტექსტს და გაითვალისწინებს სალიტერატურო ნორმებს . იმსჯელებს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ და გამოხატავს საკუთარ პოზიციებს. შეძლებს ტექსტის წვდომა-გააზრებას, ტექსტის ინტერპრეტაციას, განივითარებს წერით უნარ-ჩვევებს. დაიმახსოვრებს და საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას.
წინასწარი ცოდნა	ტექსტის ინტერპრეტაცია, გრამატიკული საკითხები, ტექსტის განხილვა, მსჯელობა, პოლემიკა. იციან ტექსტის შინაარსი.
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო)	**1. „ინტერვიუ თინიკოსთან“;** **2. „სასამართლოში“;** **3. „რა იქნებოდა, რომ“.** დრო-ორი საგაკვეთილო საათი
აქტივობა 1 **„ინტერვიუ თინიკოსთან“**	**აქტივობის აღწერა** მასწავლებელსა და მოსწავლეებს წინასწარ აქვთ მომზადებული საძერწები, სახატავი ფურცლები და ფანქრები, ავალებს მოსწავლეებს გამოძერწონ ან დახატონ საკუთარი წარმოდგენით თინიკო, შემდეგ კი სთხოვს **აქტივობის მიზანი** წაკითხული ტექსტის შინაარსის აღქმა, ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა, კითხვების ჩამოყალიბება წაკითხულის გარშემო, ზეპირი მეტყველების უნარის განვითარება.

ყველაზე წიგნიერი

	მოსწავლეებს, წარმოიდგინონ, მათ მიეცათ საშუალება შეხვედროდნენ თინიკოს და აეღოთ მისგან ინტერვიუ, რა კითხვებს დაუსვამდნენ.	
აქტივობა 2 **„რა იქნებოდა, რომ...“**	**აქტივობის აღწერა** მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, წარმოიდგინონ და წერილობით გადმოსცენ, როგორ შეიცვლებოდა მოთხრობის სიუჟეტი, თუკი თინიკო სხვაგვარად მოიქცეოდა.	**აქტვობის მიზანი** ტექსტის ინტერპრეტაცია საკუთარ ფანტაზიაზე დაყრდნობით, ფანტაზიის უნარის განვითარება, მოკლე მოცულობის ტექსტის შექმნა, გრმატკული და სალიტერატურო ნორმების დაცვა.
აქტივობა 3 **როლური თამაში-** **„სასამართლოში“**	**აქტივობის აღწერა** მოსწავლეები ინაწილებენ როლებს და ასამართლებენ თინიკოს, ერთი მხარე ცდილობს მოიპოვოს არგუმნეტები მოთხრობიდან და გაამართლონ ახალგაზრდა ქალის თვითმკვლელობა, მეორე მხარე კი შეეცდება მის დადანაშაულებას. დაიკითხებიან სხვა მოქმედი პირებიც: დედა, მთავარი მოქმედი გმირი, ოფიციანტი, ექიმი...	**აქტივობის მიზანი** ზეპირი მეტყველების უნარის განვითარება, მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება, დიალუგური მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება. ტექსტის სიღრმისეულად წვდომა-გაგება.